საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] მცხ.: [redacted]
[redacted] ტელ.: [redacted]

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ **საკანონმდებლო წინადადება** - საკონსულო ფუნქციების განხორციელებაზე თანასწორი შესაძლებლობების შექმნის შესახებ;
- ✓ **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს** 22/01/2019 01/2259 **წერილი.**
- ✓ კანონპროექტზე თანდართული განმარტებით ბარათი

02/01/2023

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-46/23
09 01 2023წ. ფურც. 14

საქართველო

2259-01-2-201901221105

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/2259
22/01/2019

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის
თანასწორობის დეპარტამენტის უფროსს
**ქალბატონ ქეთევან შუბაშვილს**

**ქალბატონო ქეთევან,**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2019 წლის 10 იანვრის N13-1/169 წერილი და თანდართული განცხადებები, რომლის თაობაზეც გაცნობებთ შემდეგს:

როგორც თქვენი წერილით წარმოდგენილი ნიკოლოზ ნიკოლაძის განცხადებიდან იკვეთება მისი ინტერესის სფეროს განეკუთვნება ის საკითხები, რომლებიც უკვე მოწესრიგებულია ,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ და ,,საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონებით, ასევე ამავე კანონების საფუძველზე გამოცემული ნორმატიული თუ ინდივიდუალური აქტებით. ამავე განცხადების შინაარსი ცხადყოფს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან არ მომხდარა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლასთან, გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის აღებასთან დაკავშირებული რაიმე ნორმის/პროცედურის დარღვევა. შესაბამისად განცხადების მოთხოვნას წარმოადგენს არა თანამდებობრივი/წოდებრივი მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენა, არამედ ეგრეთწოდებული ,,საკანონმდებლო წინადადება“, რასაც ადასტურებს ნ. ნიკოლაძის მიმართვა სახალხო დამცველისადმი, რათა მან განახარციელოს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ინიცირება ,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ და ,,საკონულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, ხოლო საშინაო პოლიტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობისა და შესაბამისი სამინისტროს დისკრეციის სფეროს განეკუთვნება შესაბამის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის განხორციელების უზრუნველყოფა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი, მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში მოკლებულია შესაძლებლობას აღმოგიჩინოთ შესაბამისი დახმარება.

ამასთან, კონკრეტული კითხვების არსებობის შემთხვევაში, იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გამოთქვამს მზადყოფნას შესაძლოდ მოკლე ვადებში მოგაწოდოთ სასურველი ინფორმაცია.

პატივისცემით,
ირაკლი ქოიავა

ი. [signature]

დეპარტამენტის დირექტორი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

## განმარტებითი ბარათი

## „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადების საფუძველია ის გარემოება, რომ „საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა შესახებ“ საქართველოს 1994 წლის 22 ნოემბრის კანონი მოძველებულია და არ პასუხობს დროის მოთხოვნებს, არ მოიცავს მრავალი ისეთი საკითხის მოწესრიგებას, რომელთა საკანონმდებლო აქტში ასახვა არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს.

კანონპროექტის სათაური მოქმედი კანონის სათაურისაგან განსხვავდება იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ კანონპროექტის მოქმედების სფერო მოიცავს არა მხოლოდ საკონსულო დაწესებულებათა საქმიანობას, არამედ უფრო მეტად ორიენტირებულია ნებისმიერი საკონსულო თანამდებობის პირის (მათ შორის, დროებით მოვალეობის შემსრულებლის) საქმიანობის საკანონმდებლო რეგულაციაზე როგორც დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, ასევე საკონსულო დაწესებულებებში.

კანონპროექტის ნოვაციას წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების დაცვის დაჯგუფება ორ კატეგორიად, საკონსულო მომსახურებად და საკონსულო დახმარებად. ასევე სიახლეა საკონსულო ფუნქციების კლასიფიცირება ძირითად და დელეგირებულ საკონსულო ფუნქციებად.კანონი ითვალისწინებს მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტების გამოცემის ვალდებულებას, რომლებიც სრულად მოაწესრიგებენ საკონსულო საქმიანობასთან დაკავშირებულ, დღემდე რეგულირების გარეშე დარჩენილ სფეროებს.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია „საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა შესახებ“ საქართველოს 1994 წლის 22 ნოემბრის კანონის ჩანაცვლება ახალი,საკონსულო საქმიანობის უფრო სრულყოფილად მომწესრიგებელი

და პრაქტიკიდან გამომდინარე აუცილებელი ნოვაციებით გაჯერებული კანონმდებლობით.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

კანონპროექტი შედგება 9 თავისა და 30 მუხლისაგან.

კანონპროექტის მოქმედების სფერო მოიცავს არა მხოლოდ საკონსულო დაწესებულებათა საქმიანობას, არამედ უფრო მეტად ორიენტირებულია ნებისმიერი საკონსულო თანამდებობის პირის (მათ შორის, დროებით მოვალეობის შემსრულებლის) საქმიანობის საკანონმდებლო რეგულაციაზე როგორც დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, ასევე საკონსულო დაწესებულებებში.

როგორც წესი, საკონსულო თანამდებობის პირების მიერ საზღვარგარეთ საკონსულო ფუნქციების შესრულება ხდება საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით, თუმცა კანონპროექტი ადგენს გამონაკლის შემთხვევებსაც, კერძოდ, საკონსულო ფუნქციების განხორციელებას მესამე სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში საქართველოს ინტერესთა სექციის მიერ (მაგ.რუსეთის ფედერაციაში) და უცხო სახელმწიფოში დიპლომატიური წარმომადგენლობის არარსებობის შემთხვევაში. კანონპროექტით ასევე დარეგულირებულია დიპლომატიურ წარმომადგენლობაში საკონსულო სამსახურის შექმნის შემთხვევა.

კანონპროექტით დადგენილია საკონსულო თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების დაცვის ორი ფორმა. **საკონსულო მომსახურება** გაეწევა საზღვარგარეთ კანონიერი საფუძვლით მყოფ მოქალაქეებს, რაც გულისხმობს მათი ინტერესების დაცვას საკონსულო თანამდებობის პირის ხელთ არსებული ყველა სამართლებრივი მექანიზმით, ხოლო საზღვარგარეთ კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირებს გაეწევათ **საკონსულო დახმარება**, რაც გულისხმობს მათი ინტერესების დაცვას ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობასთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვებით.

„საკონსულო ურთიერთობის შესახებ“ 1963 წლის ვენის კონვენციის შესაბამისად, განსაზღვრულია საკონსულო დაწესებულების სახეები: გენერალური საკონსულო, საკონსულო, ვიცე-საკონსულო და საკონსულო სააგენტო. საკონსულო დაწესებულების გახსნა ხდება მინისტრის

გადაწყვეტილებით. საკონსულო დაწესებულებათა ტიპობრივი დებულება და გახსნის წესი დამტკიცდება მინისტრის ბრძანებით.

კანონპროექტის ნოვაციას წარმოადგენს საკონსულო თანამდებობის პირთა დანიშვნისას აუცილებელი დამატებითი მოთხოვნის შემოღება. კერძოდ, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაკმაყოფილების გარდა, საკონსულო თანამდებობის პირმა დანიშვნამდე უნდა გაიაროს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური სასწავლო პროგრამა და მიიღოს დადებითი შეფასება. აღნიშნული პროგრამის გავლა გაზრდის საკონსულო თანამდებობის პირთა კვალიფიკაციის დონეს და ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების უფრო სრულყოფილად დაცვას.

კანონპროექტი ითვალისწინებს ასევე საკონსულო თანამდებობის პირის არყოფნის შემთხვევაში მისი შეცვლის რამდენიმე ალტერნატიულ შემთხვევას, მათ შორის, საკონსულო ფუნქციების დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელისათვის დაკისრებას, ასევე მინისტრის გადაწყვეტილებით დროებით ზოგიერთი საკონსულო ფუნქციის განხორციელების შეზღუდვას.

მოქმედი კანონისაგან განსხვავებით, კლასიფიცირებულია საკონსულო ფუნქციები. დაყოფა ხდება ორ ძირითად ჯგუფად - ძირითად და დელეგირებულ ფუნქციებად. ძირითად საკონსულო ფუნქციებს წარმოადგენს ფუნქციები,რომლებიც საკონსულო თანამდებობის პირთა ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება. დელეგირებული საკონსულო ფუნქციები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ფუნქციებს, თუმცა საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ ამ ფუნქციების განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე მათ აგრეთვე ახორციელებენ საკონსულო თანამდებობის პირები.

ძირითად საკონსულო ფუნქციებს წარმოადგენს კონსულტაციის გაწევა, სამართლებრივი დაცვა, შუამდგომლობა, საკონსულო ოლქის

ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა სავაჭრო, ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო, ტრანსპორტის, ტურიზმისა და სამართლებრივ სფეროებში, საკონსულო ოლქის შემოვლა, საკონსულო სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების საერთო ზედამხედველობა, საკონსულო ლეგალიზაცია, საქართველოს ვიზების გაცემა, საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა, საკონსულო აღრიცხვის წარმოება, საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების სამართლებრივი დახმარება, სანოტარო მოქმედებათა შესრულება, საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების საკონსულო მომსახურება.

დელეგირებულ საკონსულო ფუნქციებს წარმოადგენს მოქალაქეობის საკითხებთან დაკავშირებული მოქმედებების განხორციელება, საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაცია და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია.

კანონპროექტი ითვალისწინებს კანონის მიღებიდან 2013 1 იანვრამდე საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებებისა და იუსტიციის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრებთან ერთად ერთობლივი ბრძანებების გამოცემის ვალდებულებას ამ კანონპროექტით რეგულირებული საკითხების დეტალური მოწესრიგებისათვის.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს, იმ პირთთვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

# საქართველოს მთავრობა

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 67–ე მუხლის შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის პროექტებს: „საკონსულო საქმიანობის შესახებ", „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ" და საქართველოს ორგანული კანონის პროექტებს: „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" და „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ".

აღნიშნულ კანონპროექტებზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლად დანიშნულია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე.

პრემიერ–მინისტრი ნიკა გილაური

№1/102
16.05.2012წ.

№ 07-2/470
18 • 05 2012
51

<u>**საქართველოს პარლამენტს**</u>

**საკანონმდებლო წინადადება**

საკონსულო ფუნქციების განხორციელებაზე თანასწორი შესაძლებლობების შექმნის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „საკონსულო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** საჯარო სამსახური წარმოადგენს ინსტიტუციას, რომელიც მოწოდებული უნდა იყოს სახელმწიფო ფუნქციების პრაქტიკაში განხორციელებისაკენ, უპირველეს ყოვლისა კი იგი მიმართული უნდა იყოს ადამიანის და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციისკენ. ამ მხრივ საყურადღებოა სახელმწიფო სამსახურის უფლებამოვალეობა და ამ მხრივ მის მიერ წარმართული საკადრო პოლიტიკა. სამართლებრივი საფუძვლები, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფო საჯარო სამსახურის საკადრო პოლიტიკა, თავისთავად უნდა ეყრდნობოდეს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ნორმებსაც.
  - ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. **აკრძალულია დისკრიმინაცია** რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი **ან წოდებრივი მდგომარეობის,** საცხოვრებელი ადგილის ან სხვა **ნიშნის მიხედვით** (საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტი).

  აღნიშნული უფლება უკავშირდება საჯარო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობასაც. საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების სწორი მართვა ძალზე მნიშვნელოვანია საჯარო პოლიტიკის ეფექტიანობისთვისაც. ვფიქრობ, რომ 2017 წლიდან ძალაში (სრულად) შესული საქართველოს კანონის საჯარო სამსახურის შესახებ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად აქცენტირებას სწორედ, რომ საჯარო მოხელეების კარიერულ და პროფესიულ განვითარებაზე აკეთებს[1]:
  - “ყველა საჯარო მოსამსახურე თანასწორია კანონის წინაშე, დაუშვებელია სამოხელეო სამსახურებრივი ურთიერთობების მონაწილე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის კანონიერი უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა რაიმე ნიშნით” (“საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლი).

---

[1] საჯარო მოხელის კარიერულ განვითარებაზე ზრუნვა წინა პლანზე წამოვიდა, ხდება მოხელის კვალიფიკაციის სისტემატური შეფასება, კანონით სავალდებულო გახდა კონკრეტული საჯარო დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე მასში მომუშავე საჯარო მოხელეების პროფესიული უნარების განვითარება.

ამას გარდა, კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების კუთხით მოხელეთა შერჩევის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც კანდიდატის უფლებამოვალეობას განეკუთვნება მოქალაქეთა ინტერესების და უფლებების დაცვის უზრუნველყოფა/ ხელშეწყობა, რათა გარდა მოხელის შესაძლებლობის შეზღუდვისა, თავიდან ავირიდოთ საქართველოს მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა კანონიერი ინტერსების და უფლებების სათანადო დაცვის შემაფერხებელი გარემოებებიც:

- საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის 04/11/1997 განჩინებაში მითითებულია, რომ "საქართველოს ყველა მოქალაქეს თანაბარი საწყისი უფლება აქვს სახელმწიფო სამსახურში დაიკავოს ნებისმირი თანამდებობა და რაიმე ნიშნის მიხედვით (რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის) დისკრიმინაცია დაუშვებელია;

საკონსულო უფლებამოსილების დაკისრებისათან დაკავშირებით „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული რეგულაციები სავარაუდოდ უნდა ცდებოდეს ზემოხსენებულ პრინციპებს და მიზნებს, რომდენადაც საკანონმდებლო აქტი პირებს განასხვავებს მათი წოდებრივი ან/და თანამდებობრივი ნიშნით, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი უთანასწორო მიდგომა არ ეფუძნება შესაბამის გამოწვევებს და პრობლემებს. კერძოდ, 2012 წლის 12 ივნისს მიღებულ იქნა "საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონი (ვებ გვერდზე გამოქვეყნების და ძალაში შესვლის თარიღი - 22/06/2012), რომლითაც შემოღებულ იქნა საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად საჭირო შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა - სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლა და შესაბამისი სერტიფიკატის ფლობა (კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი).

- "საკონსულო თანამდებობის პირად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ, დიპლომატიური თანამდებობის პირის როტაციის წესით სამუშაო მივლინებით წარგზავნისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, გავლილი აქვს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული[2], სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული სპეციალური სასწავლო პროგრამა და მიღებული აქვს შესაბამისი სერტიფიკატი".

[2] ცნობისათვის: საგარეო საქმეთა მინისტრის 04/12/2017 01-254 და 20/07/2018 01-174 ბრძანებით დამტკიცებული საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლის წესით გათვალისწინებულია ქვემოაღნიშნული (ორი) სახის დოკუმენტის გაცემა, რომელიც სავარაუდოდ პროცესის გამიჯვნის აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული: ○ მოწმობა - სასწავლო პროგრამის წარმატებით გავლის შესახებ; ○ სერტიფიკატი - სასწავლო პროგრამის სასერტიფიკატო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შესახებ.

ხოლო, კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით კი დადგენილია შემდეგი სახის გამონაკლისი[3]:

- სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირსა და უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირებზე[4].

☞ **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრაც საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** საკონსულო ფუნქციების დაკისრებაზე უთანასწორო პირობების არსებობა.

საკითხის ძირეული შესწავლის მიზნით, უპირველს ყოვლისა მოძიებულ იქნა საკანონმდებლო პროექტზე თანდართული დოკუმენტებიც. საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდზე განთავსებულ განმარტებით ბარათში აღნიშნულია შემდეგი:

- "კანონპროექტის ნოვაციას წარმოადგენს საკონსულო თანამდებობის პირთა დანიშვნისას აუცილებელი დამატებითი მოთხოვნის შემოღება. კერძოდ, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაკმაყოფილების გარდა, საკონსულო თანამდებობის პირმა დანიშვნამდე უნდა გაიაროს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური სასწავლო პროგრამა და მიიღოს დადებითი შეფასება. აღნიშნული პროგრამის გავლა გაზრდის საკონსულო თანამდებობის პირთა კვალიფიკაციის დონეს და ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების უფრო სრულყოფილად დაცვას. კანონპროექტი ითვალისწინებს ასევე საკონსულო თანამდებობის პირის არყოფნის შემთხვევაში მისი შეცვლის რამდენიმე ალტერნატიულ შემთხვევას, მათ შორის, საკონსულო ფუნქციების დიპლომატიური

---

[3] თანასწორობა უნდა ნიშნავდეს შესაძლებლობების თანასწორ უზრუნველყოფას, რაც ადამიანებს მისცემს ამა თუ იმ სფეროში თვითრეალიზაციის საშუალება. თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოში დემოკრატიული მმართველობის საფუძველი უნდა იყოს.

[4] საყურადღებოა, რომ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში სერტიფიკატის ვალდებულება არ გააჩნიათ საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის მენეჯერული პოზიციის მქონე თანამშრომლებსაც კი. ამასთან, საყურადღებოა საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი (საკონსულო თანამდებობის პირი თავისი საქმიანობის განხორციელებისას ასევე ექვემდებარება საკონსულო დეპარტამენტს) და მე-3 მუხლის „ვ" ქვეპუნქტი, რომლის თანახმად საკონსულო დეპარტამენტი არის სტრუქტურული ერთეული, რომელიც სამინისტროს ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს საკონსულო პოლიტიკის შემუშავებასა და დაგეგმვასთან დაკავშირებით, ახორციელებს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ განხორციელებული საკონსულო საქმიანობის საკონსულო მონიტორინგს, კოორდინაციას უწევს საკონსულო თანამდებობის პირთა მუშაობას, საკონსულო საქმიანობის განხორციელების მიზნით გასცემს დირექტივებს და მეთოდოლოგიურ მითითებებს, ასევე, საკონსულო დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები, რომლებიც რიგ შემთხვევებში ანალოგიურია საკონსულო თანამდებობის პირებისა.

წარმომადგენლობის ხელმძღვანელისათვის დაკისრებას, ასევე მინისტრის გადაწყვეტილებით დროებით ზოგიერთი საკონსულო ფუნქციის განხორციელების შეზღუდვას".

განმარტებითი ბარათში არსად გვხდება კონკრეტული ჩანაწერი უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირთათვის (გენერალური კონსული) ან/და უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირთათვის გარკვეული შეღავათების (საკონსულო სერტიფიკატის ფლობისგან გათავისუფლება) დაწესების შესაძლებლობის შესახებ. ნახსენებია რამდენიმე ალტერნატივის არებობა სხვა პირთა მიერ საკონსულო ფუნქციების შესრულების კუთხით (მოცემულია საგანგებო და სრულუფლებიან ეჩლთან დაკავშირებით მაგალითი), თუმცა მოცემული გარემოება კვლავ ბუნდოვანს ხდის რეგულაციას. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, იკვეთება თანამდებობრივი მდგომარეობის თუ წოდებრივი ნიშნით დისკრიმინაციის საფუძვლით მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიხატება შეზღუდვაში თუ უპირატესობის მინიჭებაში საკონსულო უფლებამოსილების დაკისრების/ განხორციელების დროს, არ ხდება რა საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა მოხელეთა კვალიფიკაციის გათვალისწინებით და მითუმეტეს იმ ფონზე, როდესაც ამ შეზღუდვების თუ უპირატესობის მინიჭების არანაირი გონივრული თუ ობიექტურ საფუძველი არ არსებობს (აღნიშნულის თაობაზე მოცემულია ქვემოთ). საყურადღებოა ასევე საგარეო საქმეთა მინისტრის 12/03/2021 01-40 ბრძანების 1-ლი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცვლილება, რომლის შესაბამისად დიპლომატიური სამსახურის გავლის წესს დაემატა 33[1] მუხლი: დადგინდა, რომ გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდეგ, დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად და როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარსაგზავნად, თანამშრომელი ვალდებულია გაიაროს საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამა და ფლობდეს შესაბამის სერტიფიკატს. თავისთავად ხსენებული გადაწყვეტილება საკონსულო სერტიფიცირების (შესაბამისად კვალიფიკაციის) მნიშვნელობას უსვამს ხაზს, თუმცა, ადმინისტრაციული ორგანო ესეთ საჭიროებას უმაღლეს დიპლომატიურ თანამდებობის/ უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირებთან მიმართებით არ აწესებს. ცნობისათვის: ახლად დანიშნული თანამშრომლებისათვის ასეთი ვალდებულების დაკისრება სავარაუდოდ არ გამომდინარეობს შემხვედრი საჭიროებით, რამდენადაც სერტიფიკატის მფლობელი (სავარაუდოდ 1-2 წლიანი სამუშაო სტაჟის მქონე თანამშრომელი) პირი:

- ✓ სამომავლოდ შესაძლოა საერთოდ არ გეგმავდეს საკონსულო სფეროს მიმართულებით კარიერულ ზრდას. ამასთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მხოლოდ ახლად დანიშნულ თანამშრომლებზე საკონსულო ფუნქციების შესრულებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის თუგინდ

დროებით დაკისრებაზე აქცენტის გაკეთება არამართებული უნდა იყოს;

✓ სერტიფიკატის მიღებიდან 3 წლის განმავლობაში უწყვეტად ექვსი თვის განმავლობაში საკონსულო ფუნქციების (საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში/ საკონსულო დაწესებულებაში) ან/და საკონსულო დეპარტამენტში შესაბამისი პერიოდში უფლებამოსილების განუხორციელებლობის შემთხვევაში სერთიფიკატი უქმდება[5].

ამას გარდა, საგულისხმოა, რომ უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირი/ უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირი არა მხოლოდ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობისგან თავისუფლდება, არამედ სასწავლო პროგრამის გავლისგანაც, რომელიც 4-6 თვის განმავლობაში გრძელდება[6]. შესაბამისად, რიგ დიპლომატიურ თანამდებობის პირებს უფრო მეტი (სავარაუდოდ არამართლზომიერი პოლიტიკის გამო) ძალისხმევა უწევს კარიერული ნაბიჯების დასაგეგმად. დისკრიმინაცია ასევე უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ ანალოგიურ სიტუაციებში პირთა განსხვავებულად მოპყრობას, არამედ ერთი და იმავე მოყრობის შეთავაზებას (მათ შორის საკონსულო ფუნქციების განხორციელების უფლების მინიჭება) განსხვავებულ სიტუაციებში მყოფთათვის (პირებმა, რომლებმაც ჩააბარეს ხსენებული გამოცდა ან პირები, რომლებიც გამოცდაზე გასვლისგან გათავისუფლებულნი არიან თანამდებობრივი ან წოდებრივი ნიშნის გამო), ამ დროს განსხვავებულია არა თვით მოპყრობა, არამედ მოპყრობის შედეგიც, რომელსაც სხვადასხვაგვარად უნდა აღიქვამდნენ სხვადასხვა ჯგუფებს მიკუთვნებული ადამიანები. ამასთან, საკადრო პოლიტიკის ამ ფორმით დაგეგმვის არაკანონზომიერება/ არამართლზომიერება წარმოჩინდება ქვემოაღნიშნული ცხრილით:

| სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მდგომარეობა | არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებული ნორმები/ რეგულაციები | უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირების საკითხი (კომენტარი) |
|---|---|---|
| **დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქათველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად,** | დიპლომატიური სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს საქართველოს მთავრობის წარდგინებით | დიპლომატიური სამსახუის შესახებ საართველოს კანონის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ თანამდებროვი სტატუსით, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში/ საკონსულო დაწესებულებაში შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ |

[5] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 20/07/2018 01-174 ბრძანებთ დამტკიცებული წესის (დანართი 1) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი;

[6] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 20/07/2018 01-174 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, „სასწავლო პროგრამის მონაწილე პირი ვალდებულია დაესწროს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მოდულების თეორიულ ნაწილში განსაზღვრული საათების არანაკლებ 80 პროცენტს, ხოლო პრაქტიკულ ნაწილში განსაზღვრული საათების არანაკლებ 90 პროცენტს. მე-7 მუხლის მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დასწრების არქონის შემთხვევაში მონაწილე პირი ამოირიცხება სასწავლო პროგრამის მონაწილეთა სიიდან, რის შესახებაც წერილობით ეცნობება მინისტრს".

| | | |
|---|---|---|
| **უმაღლესი დიპლომატიური თანამდებობის პირებად:**<br><br>მინისტრის პირველი მოადგილის, მინისტრის მოადგილის, სამინისტროს გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორის, <u>სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის,</u> საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელის, საერთაშორისო ორგანიზაციასთან საქართველოს წარმომადგენელის, საგანგებო დავალებათა ელჩის და ევროჯასტში მეკავშირე პროკურორის გარდა, <u>ასევე მიიჩნევა</u><br><br>✓ **საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი;**<br>✓ **გენერალური კონსული.**<br><br>უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირებს, საგარეო საქმეთა მინისტრის 19/04/2019 01-63 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი დიპლომატიური რანგები | თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საკონსულო დაწესებულების, მათ შორის გენერალური საკონსულოს დაფუძნებაზე გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი. ამავე კანონის 12-14 მუხლებით განისაზღვრება დიპლომატიური თანამდებობები, რომლებიც 22-ე მუხლის გათვალისწინებით, დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, თავდაცვის ატაშესთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლთან, პოლიციის/ უსაფრთხოების ატაშესთან, მეკავშირე ოფიცერთან, მეკავშირე პროკურორთან ან/და დამხმარესთან ერთად შეიძლება წარგზავნილ იქნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობაში/ საკონსულო დაწესებულებაში როტაციის წესით. საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, "საკონსულოს თანამდებობის პირი" ნიშნავს ნებისმიერ პირს, მათ შორის საკონსულო დაწესებულებების მეთაურს, რომელსაც დავალებული აქვს, როგორც ასეთმა, შეასრულოს საკონსულო ფუნქციები. საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საკონსულო თანამდებობის პირი საკონსულო საქმიანობის განხორციელებისას ექვემდებარება სამინისტროს და საკონსულო დეპარტამენტს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 20/06/2014 01-111 ბრძანებით დამტკიცებული ტიპობრივი დებულების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკონსულო თანამდებობის პირის საქმიანობაზე <u>ადმინისტრაციულ ზედამხედველობას ახორციელებს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი</u>, ხოლო საკონსულო საქმიანობის განხორციელებისას <u>ექვემდებარება</u> | დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი (საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი) და საკონსულო დაწესებულების კლასით გენერალური საკონსულოს ხელმძღვანელი (გენერალური კონსული). შესაბამისად, გრძელვადიანი სამუშაო როტაციის ფარგლებში, პრაქტიკულად საკონსულო ფუნციები შეიძლება განახორციელოს ზემოხსენებულმა უმაღლესმა დიპლომატიურმა თანამდებობის პირებმაც. გამომდინარე იქიდანაც, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელი პოლიტიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, მისთვის საკონსულო სფეროში ცოდნა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის (სერტიფიკატი) ფლობა აქტუალობას კარგავს. საკონსულო ფუნქციები მინისტრის გადაწყვეტილებით (ბრძანებით) ცალკეულად შეიძლება დაეკისროს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელს (ელჩი) მისი დანიშვნის შემდგომ, თუ საკადრო სიმწირის ან/და სხვა გამოწვევის გათვალისწინებით აღნიშნულის საჭიროება დადგა. 20/06/2014 01-111 და 09/07/2013 158 ბრძანებების გათვალისწინებით, ასევე, საკონსულო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საკონსულო საქმიანობის განხორციელებისას საკონსულო თანამდებობის პირი არ ექვემდებარება (არ იგულისხმება ადმინისტრაციული კუთხით) საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს. შესაბამისად, თუ საკონსულო ფუნქციების განხორციელებაში, ელჩს არანაირი როლი არ აკისრია (თუ დამატებით ასეთი უფლებამოსილება არ დაეკისრება), საკადრო პოლიტიკის გადაწყვეტილებით გამოწვეული სიმწვავე, მისი დანიშვნის მომენტისათვის დღის წესრიგში (საკანონმდებლო აქტით) არ დგას. ხოლო სერტიფიკატის ფლობის პირობებსა და საკონსულო თანამდებობის პირის არყოფნის შემთხვევაში, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, მსგავსად სხვა დიპლომატიურ თანამდებობაზე მყოფი პირებისა, <u>საკონსულო უფლებამოსილება[7] უნდა დაეკისროს</u> |

[7] **„საკონსულო ურთიერთობების შესახებ" ვენის კონვენციის მე-5 მუხლით** ასევე გათვალისწინებულია შემდეგი ფუნქციები - საკუთარი მოქალაქეების და ფიზიკური პირების ინტერესების დაცვა, მათვის დახმარების და ხელშეწყობის უზრუნველყოფა, ასევე, გარდაცვალების გამო მემკვიდრეობითობის საკითხში მოქალაქეთა ინტერესების დაცვა, არასრულწლოვანი და სხვა პირების ინტერესების დაცვა, რომლებიც სრულად ქმედუნარიანი არ არიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭიროა ასეთი პირებისათვის მეურვეობისა და მზრუნველობის დაწესება, ადგილსამყოფელი სახელმწიფოს სასამართლო და სხვა დაწესებულებებში შესაბამისი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა. **„საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის 13-ე მუხლის შესაბამისად,** სამართლებრივი

| | | |
|---|---|---|
